

კვლევები: რუსთველოლოგია

## „ვეფხის“ მნიშვნელობა შოთა რუსთაველის *ვეფხისტყაოსანში*

**ლუიჯი მაგაროტო**

*ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
უცხოელი წევრი, თსუ საპატიო დოქტორი.*

**რეზიუმე:** ნაშრომი ეძღვნება იმის ინტერპრეტირებას, თუ რომელი ცხოველია *ვეფხისტყაოსნის* ეფხი. ავტორის მტკიცებით, ეს სახელი არ გულისხმობს თანამედროვე ქართულის ეფხვს.

**საკვანძო სიტყვები:** „*ვეფხისტყაოსანი*“, *რუსთაველი*, *ვეფხი*, *ვეფხვი*.

შოთა რუსთაველის (ან რუსთველის, როგორც თავად მიუთითებს) მიერ 1190 წელს შექმნილი ცნობილი პოემის სათაურის – *ვეფხისტყაოსნის* პირდაპირი თარგმანი გახლავთ „ვეფხისტყაოვანი ჭაბუკი“ და იგი ყველა წამყვან ევროპულ ენაზე ითარგმნება, როგორც *ავაზის* – (*ვეფხვის*-) *ტყავიანი კაცი (ბატონი, რაინდი)*. თუ რომელ ვარიანტს აირჩევს მთარგმნელი: კაცს, ბატონსა თუ რაინდს, მის ესთეტიკურ მრწამსზეა დამოკიდებული; სათაურის ზოგადი მნიშვნელობა ამით არ იცვლება. მეორე მხრივ, უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ თარგმნის მთარგმნელი *ვეფხ*-ს, როგორც *ავაზას/ჯიქსა* თუ როგორც *ვეფხვს*. მართალია, რომ ყველა შემთხვევაში ვსაუბრობთ კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელ ორ ცხოველზე, თუმცა *ავაზას* დაწინაწკლული ბეწვი აქვს, ხოლო *ვეფხვს* – ზოლიანი. რა თქმა უნდა, *ვეფხისტყაოსნის* მთარგმნელებს

კავშირი ექნებოდათ ინფორმანტებთან, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ზოგმა მათგანმა *ვეფხ-ის* ეკვივალენტად ავაზა ირჩია და ზოგმა კი *ვეფხვი*?

რუსთაველი უძველეს სიტყვას *ვეფხ-ი* (თანამედროვე ქართულში *ვეფხვ-ი*) იყენებს *ჯიქის/ავაზის* მნიშვნელობით, რომელიც, მეცნიერული თვალსაზრისით, ერთსა და იმავე ცხოველს აღნიშნავს (*Felis pardus*, ამჟამად *Panthera pardus*)<sup>1</sup>.

სულ მცირე XIX-ის II ნახ-დან ქართულში სიტყვამ *ვეფხ-ი* მნიშვნელობა შეიცვალა და ახლა იგი აღნიშნავს *ვეფხვს*. ასე რომ, დღეს ბევრი ქართველი, სხვადასხვა კრიტიკოსთან ერთად, მიიჩნევს, რომ რუსთაველის მიერ ნაგულისხმევი ცხოველი გახლავთ *ვეფხვი*. რუსთაველის პოემის სათაურის ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი ეკუთვნის ცნობილ პოეტს კონსტანტინ ბალმონტს (1867-1942წწ.), რომელმაც იგი რუსულში გადაიტანა როგორც *Nosiashchii barsovu shkuru* (ის, ვისაც *ჯიქის/ავაზის* ტყავი აცვია). რუსულ ენაში ტერმინების – *ჯიქისა* და *ავაზის* პარალელურად არსებობს სიტყვა *bars* (რომელიც აღნიშნავს ორივე ცხოველს, როგორც *ჯიქს*, ისე *ავაზას*). სწორედ ამ სიტყვისგან მოდის ზედსართავი *barsovyi*, რომელსაც იყენებს ბალმონტი. სარწმუნოა, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი, რომელიც ორივეს – *ავაზასა* და *ჯიქს* აღნიშნავდა, რუსულში ძველი თურქული ტერმინიდან *bārs* შევიდა არაუადრეს XVII-სა. თურქული სიტყვა *bārs* ხეთური ძირიდან *parš-* უნდა მოდიოდეს, რომელიც აქ, თავის მხრივ, ირანულიდან დამკვიდრდა (*pārs/fārs*). ეს სიტყვა აღნიშნავდა მხოლოდ *ჯიქს/ავაზას*, ვინაიდან თურქული ტრადიციის მიხედვით, დიდი ზომის, დაწინწკლული ბეწვის მქონე კატისებრის თაყვანისცემა გვევლინებოდა უპირატეს, განსაკუთრებულ ნიშნად, რაც დასტურდება სამხრეთ ანატოლიის სოფელ ჩათალ ჰუიუკში აღმოჩენილი

---

<sup>1</sup> ადგილობრივად გამოვლენილი მელანიზმის შემთხვევაშიც კი, მაგალითად – იავაზე, სადაც ავაზა შავი ფერისაა, თავად ცხოველი მაინც იმავე სახეობას მიეკუთვნება.

ნახატებით (VIII-VI ათასწლეული). მოგვიანებით, ლექსემა *bārs*-მა თურქულში *ვეფხვის* მნიშვნელობაც მიიღო, თუმცა რუსულ ენაში მხოლოდ *ჯიქის/ავაზის* [2, გვ. 500-507] მნიშვნელობით შევიდა. შესაბამისად, რუსულში არ აღინიშნება ორაზროვნება ამ ტერმინთან დაკავშირებით.

საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი ქართულ ენაში ლექსემის *ვეფხ-ი/ვეფხვ-ი* შემთხვევაში, რომელმაც მნიშვნელობა XIXს-ში შეიცვალა. ძველ და შუა საუკუნეების ქართულში ეს სიტყვა ნიშნავდა არა *ვეფხვს*, არამედ *ჯიქს* (*Panthera pardus*) ან ავაზას, რაც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, პრაქტიკულად ერთსა და იმავე ცხოველს აღნიშნავს.

ამ თვალსაზრისის მყარი დასაბუთება მოიპოვება ბიბლიის თარგმანში, სადაც ებრაული სიტყვა *namer* (*ჯიქი/ავაზა*), ევროპულ ენებში გადადის, როგორც leopard/panther, თუმცა იგი ქართულად ყოველთვის ითარგმნებოდა, როგორც *ვეფხ-ი/ვეფხვ-ი*. მაგალითად, “The wolf also shall dwell with the lamb, and the leopard shall lie down with the kid” (Is 11: 6) [13]. ქართულად ასე ჟღერს: „მაშინ მოვდეს მგელი კრავთა თანა, და ვეფხი თიკანთა თანა განისუენებდეს, და ზუარაკი და ლომი და კურო ერთად მოვდენ...” [5]; ან “Wherefore a lion out of the forest shall slay them, and a wolf of the evenings shall spoil them, a leopard shall watch over their cities” (იერ 5: 6), ქართულში შემდეგნაირად გადმოდის: „ამისთვის დაესხა მათ ლომი მაღნარით, და მგელმან ვიდრე სახლთამდე მოსწყვდნა იგინი, და ვეფხმან იღვძა ქალაქთა მათთა ზედა“. იერემიასთან ვკითხულობთ (13:23): “Can the Ethiopian change his skin, or the leopard his spots?” ქართულში: „უკეთუ ცვალოს ეთიოპელმან ტყავი თჳსი და ვეფხმან სიჭრელენი მისნი“ და ბოლო მაგალითი: სოლომონის სიმღერაში (4:8) ვკითხულობთ: “Come with me from Lebanon, my spouse, with me from Lebanon: look from the top of Amana, from the top of Shenir and Hermon, from the lions’ dens, from the mountains of the leopards”. ქართულში კი ეს ასე ჟღერს: „მოვედ, სძალო, ლიბანიით. მოხვდე და წარმოჰვლო დასაბამით სარწმუნოებისათ თხემსა ზედა სანარისა და

ერმონისასა საყოფელთაგან ლომთასა და მთათაგან ვეფხთასა“.<sup>2</sup>

ჩვენი მოსაზრების მხარდამჭერი მაგალითები შეიძლება მოვიპოვოთ რუსთაველის დროის სპარსულიდან ქართულ თარგმანებშიც, მაგალითად, *ვისრამიანში* (ვისრამიანი. *ვისისა და რამინის სიყვარულის ამბავი*) რომელიც XIII-ის შუა ხანებში ითარგმნა ერთი საუკუნით გვიან გორგანის სპარსული პოემიდან *Vis o Rāmin* (Vis and Rāmin). აქ შესამჩნევია, რომ სპარსული სიტყვა *palang* (*ჯიქი/ავაზა*) ქართულში ყოველთვის გადმოიტანება სიტყვით *ვეფხ-ი*. მაგალითად, „ძალად და გულად-ვითა ლომი, საფიცხედ-ვეფხისაგანცა უფიცხესი“ [3, გვ. 11] (“In strength and courage like a lion, in fierceness fiercer than the panther”) [15] ან „გულოვანნი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყვნეს და მთათა შიგან ფიცხელისა ვეფხისაებრ იყვნეს“ [3, გვ. 24] (“The heroes in the plain were like lions, and in the mountains like fierce panthers”). ჩვენ მხოლოდ ორი მაგალითით შემოვიფარგლებით, რადგანაც სპარსული ტერმინი *palang* ქართულში ყოველთვის გადმოიტანებოდა, როგორც *ვეფხ-ი*. XVII-XVIII სს-ის საქართველოშიც კი, მაგალითად, XVIII-ში სპარსულიდან თარგმნილ ნაწარმოებში *ქილილა და დამანა*, სპარსული სიტყვა *palang* (*ჯიქი/ავაზა*) თარგმნილია, როგორც *ვეფხ-ი*. კიდევ ერთ არგუმენტს მოვიყვანთ ჩვენი მტკიცების/თვალსაზრისის სასარგებლოდ. ძველ ქართულში ჟირაფის (*Giraffa camelopardalis*) აღსანიშნად გამოიყენებოდა ტერმინი *აქლემ-ვეფხ-ი*. ეს ტერმინი, სავარაუდოდ, იხმარებოდა XVIII-მდე, რადგანაც ეს ლექსემა ჯერ კიდევ დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ ლექსიკონში, რომელიც 1685-1716 წლებში შეიქმნა [6]. ხსენებული სიტყვა შედგებოდა

---

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში ინგლისური თარგმანი განსხვავდება ქართულისაგან იმით, რომ გამოთქმა “from the top of Amana”, ქართულ თარგმანში არ დასტურდება. ქართული ბიბლია ზედმიწევნით მისდევს *სეპტუაგინტას* (*Septuagint*), სადაც ვერ ვპოულობთ ფრაზას “from the top of Amana”.

ლექსემებისგან *აქლემ-ი* და *ვეფხ-ი*, (*ჯიქი/ავაზა*). იგი გახლავთ პირდაპირი თარგმანი ბერძნული სიტყვისა *kamēlopardalis* (*აქლემი* და *ჯიქი/ავაზა*), რომელიც, თავის მხრივ, შედგება ლექსემების *kamēlo* (*აქლემი*) და *pardalis* (*ჯიქი/ავაზა*). ბიბლიის მეხუთე ნაწილში (14:4.5), ყველა საჭმელად ვარგისი ცხოველის ჩამოთვლის დროს, ნახსენებია შემდეგი: „ხარი, ცხვარი და თხა, ხარ-ირემი, მამალი შველი, და ფურირემი, გარეული თხა, და pygarg (თეთრი ანტილოპა), გარეული ხარი და ჯიხვი“ [13], „ან ხარი, ცხვარი, თხა, ირემი, ქურციკი, შველი, ჯიხვი, ანტილოპა, მთის ცხვარი“ [14]. ებრაული *zemer* (ძველ ებრაულში *a hapax legomenon*) აღნიშნავდა არა მარტო ჯიხვს, არამედ ასევე ანტილოპას და ბერძნულად ითარგმნებოდა, როგორც ჟირაფი ან *kamēlopardalis*. გელათის ბიბლიაში, რომელიც ქართულად აშკარად ბერძნულიდან არის თარგმნილი, იგივე შეცდომის განმეორების შედეგად, ტერმინმა *kamēlopardalis* მიიღო შემდეგი სახე: *აქლემ-ვეფხ-ი*. ბიბლიის ქართული თარგმანის ბოლო ვერსიაში ეს შეცდომა გასწორდა და ებრაული *zemer* *გადმოტანილია, როგორც შველი* (ხარი, ცხვარი და თხა, ირემი, ქურციკი, კამეჩი, გარეთხა, არჩვი და შველი) [1].

შესაბამისად, ქართველები ჟირაფს მოიხსენიებდნენ ბერძნულის თარგმნე მოჭრილი საზოგადო სახელით, რადგანაც მას სხეული აქლემს მიუგავდა და ბეწვი კი ჯიქივით და ავაზასავით ჰქონდა დაწინწკლული [7, გვ. 270-276; 4, გვ. 354-360]. ახლა ნათელია, რომ *ილიადადან* ალექსანდრუსის მსგავსად (“When they were close up with one another, Alexandrus came forward as champion on the Trojan side. On his shoulders he bore the skin of a panther”) [10, წიგნი III, 17] და აქვე, *ილიადაში*, მენელაოსის მსგავსად (“Neither could Menelaus sleep, for he, too, boded ill for the Argives who for his sake had sailed from far over the seas to fight the Trojans. He covered his broad back with the skin of a spotted panther”) [10, წიგნი X. 29], რუსთაველის გმირის მიერ მხარზე მოგდებული ტყავი ეკუთვნის ცხოველს, რომელსაც ჰქვია *ვეფხ-ი*, მაგრამ აქვს წინწკლებიანი ტყავი,

როგორც ჯიქს/ავაზას და არა ზოლიანი, როგორც ვეფხეს [11, გვ. 59-61].

და ბოლოს, ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ შუა საუკუნეების არც ერთ მკითხველს არ გაუჩნდებოდა ეჭვი იმის შესახებ, თუ რომელ ცხოველს გულისხმობდა რუსთაველი ტერმინით *ვეფხ-ი*, რადგანაც XVI-XVII სს-ით დათარიღებულ *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერს დართულ მინიატურებზე ტარიელს მხარზე მუდამ მოსხმული აქვს დაწინწკლული და არა ზოლიანი ცხოველის ტყავი. პოემის სხვადასხვა ბეჭდურ ვერსიაში სხვადასხვა მხატვრების მიერ შექმნილ ილუსტრაციებზე გამოსახულია უცნობი რაინდი, რომელსაც მხრებზე ცხოველის დაწინწკლული ტყავი აქვს მოსხმული. ეს ტრადიცია გრძელდება, სულ მცირე, უნგრელი მხატვრის - მიხაილ ზიჩის (1827-1906წწ.) მიერ შექმნილი ილუსტრაციების გამოჩენამდე. ყოველ შემთხვევაში, XX ს-ში ქართველი მხატვარი სერგო ქობულაძე (1909-1978წწ.), რუსთაველის პოემის დასურათების დროს რაინდს ზურგს უფარავს კატისებრთა წარმომადგენლის ზოლიანი ტყავით დაწინწკლულის ნაცვლად. რატომ გახდა საჭირო ასეთი რადიკალური ცვლილება? საქმე ის არის, რომ სულ მცირე XX ს-ის დასაწყისიდან ლექსემა *ვეფხ-ი* კარგავს *ჯიქისა* და *ვეფხვის* ორაზროვან მნიშვნელობას, მაგრამ იძენს *ვეფხვის* მნიშვნელობას და დღეს ყველა ქართველისათვის *ვეფხ-ი* მხოლოდ ერთი - ამ მნიშვნელობით იხმარება. შესაბამისად, ქართველი მხატვარი, სერგო ქობულაძე, რაინდის მიერ მხარზე მოსხმულ ტყავის მფლობელი ცხოველის ინტერპრეტირებას ახდენს XX ს-ის ქართველის ლინგვისტური პერცეფციის პოზიციებიდან.

ნაშრომში *ზეციური მღვდელთ-მთავრობისათვის* დიონისე არეოპაგელი, რუსთაველის მიერ აგრერიგად დაფასებული თეოლოგი, იმ თვისებების ჩამოთვლისას, რომელთა თანახმადაც ანგელოზები იღებენ ლომის, ხარის, არწივისა ან ცხენის სახეს, დაასკვნის, რომ „არამედ ვინაჲთგან ესენი ძალისაებრ ჩუენისა კმა-საყოფელ თქუმულად საგონებელ მიჩნან, ვიცვალეზლობდე წმიდისა მიმართ განხილვისა

ზეცისათა მათ სიწმიდის სახეთა გონებათა მჯეცის სახედ დასახვისა“ [...] [8, წიგნი 15; 7, გვ. 148] „და რაფთა შემოკლებულად ვთქუა, ყოველნიმცა პირუტყუთა ცხოველთა გრძნობანი და მრავალ-ნაწილობანი უნივთოთამცა ზეცისა არსებათა ცნობისა და ერთ-სახისა ძალისა მიმართმცა აღგუეყვანნეს“ [8, წიგნი 15, 8, გვ.149]. ავტორი გვიხსნის, რომ მხეცების მიერ ანგელოზების განსახიერება არ არის საფრთხის შემცველი ადამიანისათვის, რადგანაც იგი ამცირებს რისკს, რომ ეს უკანასკნელი შეცდომით აღიქვამს, თუ რა იმალება სიმბოლოს უკან. *Physiologus*-ში სიმბოლისტები ავაზას აღწერენ, როგორც ყველა ცხოველის უახლოეს მეგობარს, რომელიც მხოლოდ ბოროტის სიმბოლოებს, დრაკონსა და გველს მტრობს: ავაზა წყნარი და უკიდურესად რბილი ცხოველია. თუ იგი მამლარი და დაკმაყოფილებულია, მაშინვე ძილად მივარდება ბუნაგში და (ჩვენი უფლის მსგავსად) ძილისაგან აღსდგება მესამე დღეს. თუ ავაზა მესამე დღეს გაიღვიძებს, იგი ხმამაღლა დაიღრიალებს და მის ხმაში გამოსჭვივის ბევრი სასიამოვნო სურნელი. ყველა სულიერს მისწვდება მისი ღრიალი, შორსაა თუ ახლო, და ყველა მიჰყვება ამ სასიამოვნო სურნელს. მკვდრეთით აღდგომისთანავე, ჩვენს უფალი და შემომქმედს ჩვენთვის საამო სურნელად მივიჩნევთ (კორ. 2: 15) მშვიდობა მათ, ვინც შორსაა და მათ, ვინც ახლოსაა [cf. Eph 2: 17] [12, გვ.42].

არისტოტელემაც უწყოდა ავაზას მიერ გამოყოფილი სურნელის შესახებ, რომელიც ცხოველებს იზიდავდა, რადგანაც იგი წერდა: „ამბობენ, რომ ავაზამ იცის, რომ ცხოველებს უყვართ მისი სურნელი. როდესაც სანადიროდ გაემართება, იგი დაიმალება და სხვა ცხოველები მიუახლოვდებიან. ამ სტრატეგიის წყალობით, იგი ისეთ სწრაფ ცხოველებსაც კი იჭერს, როგორიცაა ირემი“ [9, წიგნი 9, 6].

### ბიბლიოგრაფია:

1. ბიბლია. „საქართველოს საპატრიარქო“, თბ., 1989.
2. გამყრელიძე, თ. ივანოვი, ვ. „Indoeuropejskij jazyk i Indoeuropejcy“. *Rekonstrukcija i istoriko-tipologičeskij prajazyka i protokul'tury, II*, Izdatel'stvo Tbilisskogo Universiteta, Tb., 1984, გვ. 500-507.
3. „ვისრამიანი“. *ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად*, # 3, თბ., 1988, გვ. 11.
4. კობიძე, დ., „ვეფხის“ საკითხი, „ვისრამიანის“ საკითხები“, *ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი*, # 1, თბ., 1983, გვ. 354-360
5. *მცხეთური ხელნაწერი* (ეკლესიასტე, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი). „მეცნიერება“, თბ., 1985.
6. ორბელიანი, ს.ს., *ლექსიკონი ქართული, I-II*.
7. ცაიშვილი, ს., „ვეფხი“ და „ჯიქი“ „ვეფხისტყაოსანში“, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი“. *ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. „მეცნიერება“, თბ., 1974, გვ. 270-276.
8. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), *შრომები* (ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა), თბ., 1961.
9. Aristotle, *The History of Animals* (translated by D'Arcy Wentworth Thompson), Book 9, 6.
10. [http://classics.mit.edu/Aristotle/history\\_anim.mb.txt](http://classics.mit.edu/Aristotle/history_anim.mb.txt). (retrieved 3.01.2015)
11. Homer, *The Iliad* (translated by Samuel Butler), Book III, 17. <http://classics.mit.edu/Homer/iliad.mb.txt>, (retrieved 3.01.2015)
12. Khintibidze, E., *Rustaveli's "The Man in The Panther Skin" and European Literature*. „Bennet & Bloom“, London 2011, pp. 59-61.
13. *Physiologus* (translated by Michael J. Curley). „University of Texas Press“, Austin 1979, p. 42.
14. *The King James Bible*. authorised version, <http://www.kingjamesbibleonline.org/book.php?book=Deuteronomy&chapter=14&verse=4>, (retrieved 2.01.2015)
15. *The Jerusalem Bible* (Popular Edition). „Darton, Longman & Todd“, London 1974.

16. Visramiani. *The Story of the Loves of Vis and Ramin*. "The Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland", London 1966.